1-135
1966.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი — თებერვალი

1966 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1966 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვის მდგომარეობისა და მისი განაწილების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ
2. საქართველოს სს რესპუბლიკაში ვაჭრობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 26 ნოემბრის № 1005 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ
4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 ნოემბრის № 649 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
5. იმ ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების შესახებ, რომელსაც სახელმწიფო ელექტროსადგურები აწვდიან საწარმოო საჭიროებისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს.
6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 ოქტომბრის № 686 დადგენილების გაუქმების შესახებ
7. ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ჯიშიანი ცხვრისა და ღორის ფასების დანამატების დაწესების შესახებ
8. იმის შესახებ, რომ გამოყენებულ იქნას ცდის სახით საავტომობილო მეურნეობათა დაგეგმვისა და მათი ხელმძღვანელობის ახალი წესი
9. თბილისის საქალაქო აღმასკომის საბინაო და საგარაჟო კოოპერაციული მშენებლობის სამმართველოს შექმნის შესახებ

F-3669.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

10. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის მოწესრიგების შესახებ
11. „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლის“ სამკერდე ნიშნის დამტკიცების შესახებ
12. რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებების ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ
13. ბეწვეულისა და ქურ-ნედლეულის შესყიდვის გადიდების ზომების შესახებ
14. საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ
15. ამიერკავკასიის რკინიგზაზე მოქალაქეთა უბედური შემთხვევების თავიდან აცილების ზომების შესახებ
16. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების შემოღების შესახებ
17. იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქნან საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და, რომ შემკვეთებმა გადასცენ საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი
18. უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის საკითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

I

რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვის მდგომარეობისა და მისი განაწილების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბინაო მშენებლობა. მარტო 1959-1965 წლებში აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა სახლები, რომელთა საერთო ფართობი 7326 ათასი კვადრატული მეტრია.

ამ ბოლო დროს ფართოდ გაიშალა კოოპერაციული საბინაო მშენებლობა. მოსახლეობის სახსრების ხარჯზე და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა კოოპერაციული სახლები, რომელთა სასარგებლო ფართობი 197 ათასი კვადრატული მეტრია.

ამავე დროს საბინაო მშენებლობის ტემპები ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის მზარდ მოთხოვნებს. არ სრულდება საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმები და არ არის ათვისებული ამ მიზნებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი. მხოლოდ ამ მიზეზით 1963-1965 წლებში რესპუბლიკის მოსახლეობამ მიიღო საცხოვრებელი ფართობი 47 ათასი კვადრატული მეტრით ნაკლები.

ძალზე ჩამორჩება კოოპერაციული-საბინაო მშენებლობა, რომლის გეგმა 1965 წელს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის მხრივ შესრულებულია 57 პროცენტით, საექსპლუატაციოდ გადაცემისა კი — მხოლოდ 48 პროცენტით.

ბევრმა პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანომ სერიოზული მუშაობა გასწია იმ მხრივ, რომ დაემყარებინა სახელმწიფოებრივი წესრიგი იმ მოქალაქეთა აღრიცხვის საქმეში, რომლებიც საცხოვრებელ ბინებს საჭიროებენ, და საცხოვრებელი ფართობის განაწილებაში. ამჟამად სულ უფრო მეტად უწევენ ანგარიშს ფართო საზოგადოებრიობის აზრს, უფრო ხშირად იღებენ მხედველობაში არა მარტო რიგითობას და საჭიროებას, არამედ მუშაკის შრომითს და საზოგადოებრივ საქმიანობასაც. საცხოვრებელი ბინების აღრიცხვისა და განაწილების საქმის გაუმჯობესებისაკენ მიმართული დადგენილებანი მიიღეს უკანასკნელ დროს საქართველოს კპ თბილისის და ქუთაისის საქალაქო კომიტეტებმა, აჭარის საოლქო კომიტეტმა, რუსთავისა და გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოებმა და ზოგიერთმა სხვა პარტიულმა და საბჭოთა ორგანომ, საკმაოდ ბევრი ოპერატიული ღონისძიება განხორციელდა არსებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად. ამავე საკითხებზე სისტემატურად მუშაობენ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში კვლავ აღინიშნება ერთგვარი ნაკლოვანებანი და საცხოვრებელი ბინების აღრიცხვა-განაწილების დადგენილი წესის დარღვევები.

მთელ რიგ ადგილობრივ საბჭოებში არ არის მოგვარებული იმის ზუსტი აღრიცხვა და გულმოდგინედ შემოწმება საზოგადოებრივი კომისიების მიერ დეპუტატებისა და აქტივის მონაწილეობით, თუ რამდენად საჭიროებენ საცხოვრებელ ფართობს მოქალაქეები, რომლებმაც შეიტანეს განცხადება საბინაო პირობების გაუმჯობესების შესახებ. ამის შედეგად ბინების მიმღებთა სიებში ხშირად შეაქვთ ისეთი პირები, რომლებსაც საამისო უფლება არა აქვთ. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ აღრიცხვაზე აყვანილი 2000 მოქალაქიდან საზოგადოებრივი კომისიის მიერ შემოწმების შემდეგ 500-მდე ოჯახი ამორიცხულ იქნა სიებიდან.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, სამინისტროებისა და უწყებათა მიერ საცხოვრებელი ფართობის განაწილებისას ხშირად ირღვევა რიგითობა, მხედველობაში არ იღებენ ნამდვილ საჭიროებას, მცირდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი, ადგილი აქვს საზოგადოებრივი კომისიების აზრის უგულებელყოფის ფაქტებს. ასეთი დარღვევები აღმოჩენილია ქალაქ თბილისში, სოხუმში, ფოთში, გორში, ბათუმში და სხვ.

რესპუბლიკის ქალაქებში დღემდე ბევრი ოჯახი ცხოვრობს საცხოვრებლად გამოუსადეგარ ბარაკებში, სარდაფებში, ნახევრადსარდაფებსა და ავარიულ სახლებში. მაგრამ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოებს არ გააჩნიათ მათი გადასახლების პერსპექტიული გეგმები, ისინი არ გამოყოფენ საკმაო საცხოვრებელ ფართობს მოსახლეობის ამ კატეგორიისათვის. არ არის აღმოფხვრილი არასწორი პრაქტიკა, როდესაც განთავისუფლებულ, საცხოვრებლად უვარგის სახლებში ახალმობინადრეებს ასახლებენ.

სერიოზულ ნაკლოვანებებსა და დადგენილი წესების დარღვევებს ვხვდებით სამინისტროების, უწყებათა, საწარმოებისა და დაწესებულებების კუთვნილი საცხოვრებელი სახლების განაწილების დროს. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები და მათი საზოგადოებრივი კომისიები ცუდად იყენებენ მათთვის მინიჭებულ კონტროლის უფლებას, კრიტიკულად არ ამოწმებენ იმ მოქალაქეთა საბინაო პირობებს, რომლებიც უწყებათა მიერ არიან შეტანილი ბინებით უზრუნველყოფის სიებში, ხშირად კმაყოფილდებიან უწყებათა შიერ წარდგენილ განაწილებათა ფორმალური დამტკიცებით.

აღმასკომები საკმაო კონტროლს არ ახორციელებენ იმისადმი, თუ რამდენად სწორად ნაწილდება ექსპლოატირებულ სახლებში განთავისუფლებული საცხოვრებელი ფონდი, განსაკუთრებით იმ ქალაქებში, სადაც უწყებრივი საცხოვრებელი ფონდის ნაწილი ჯერ კიდევ არ გადაუციათ აღმასკომებისათვის.

არსებულ ნაკლოვანებებზე ერთგვარ გავლენას ახდენს ისიც, რომ ადგილებზე არ მოიპოვება საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების აღმასკომების მიერ დამტკიცებული წესები იმ სანიმუშო წესების საფუძველზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და რემონტის მდგომარეობისადმი, ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა სამშენებლო ორგანიზაციებისათვის საჭირო სამშენებლო ბაზის შექმნისა და საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულების საქმეში. საკითხები საბინაო მშენებლობის მდგომარეობისა და მშენებლობის ხარისხის შესახებ განიხილონ პარტიული კომიტეტების ბიუროებზე, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე.

3. საბინაო პირობები გაუუმჯობესდეს, როგორც წესი, იმ ოჯახებს, რომლებიც ამას მწვავედ საჭიროებენ და შეტანილი არიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სიებში ბინებით დასაკმაყოფილებლად. საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა ისეთი მოქალაქეებისათვის, რომლებიც შედარებით დამაკმაყოფილებელ პირობებში ცხოვრობენ, დაშვებულ იქნას განსაკუთრებულ შემთხვევებში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვა-განაწილების კომისიების გადაწყვეტილებით.

4. დაწესდეს, რომ ერთიან დოკუმენტს, რომელიც იძლევა ქალაქებისა და რაიონების საცხოვრებელ სახლებში საცხოვრებელი ფართობის დაკავების უფლებას, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, წარმოადგენს ორდერი, რომელსაც გასცემს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან რაიონული საბჭო.

5. აიკრძალოს იმ ფართობების მიცემა მოქალაქეებისათვის, რომლებიც განთავისუფლდა საცხოვრებლად გამოუსადეგარ შენობებსა და სარდაფებში. ამ მოთხოვნის დაცვისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს.

6. მნიშვნელოვან ამოცანად ჩაითვალოს იმ ოჯახების გადასახლება, რომლებიც ცხოვრობენ საცხოვრებლად გამოუსადეგარ ბარაკებში, ავარიულ სახლებსა და სარდაფებში.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა და საწარმოებმა შეიმუშაონ მოქალაქეთა ამ კატეგორიის დაბინავების პერსპექტიული გეგმები უახლოესი წლებისათვის. ამ გეგმების შესაბამისად, 1966 წლიდან დაწყებული, ყოველწლიურად გამოყონ მიზნობრივი დანიშნულებით მიღებული საცხოვრებელი ფართობიდან მისი მაქსიმალურად შესაძლო ნაწილი, რომლის განაწილება აწარმოონ განსაკუთრებული სიების მიხედვით.

7. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ და დაამტკიცონ საცხოვრებელი ფართობის განაწილების აღრიცხვის წესები იმ სანიმუშო წესების საფუძველზე, რომლებიც მოწონებულია საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის მიერ 1964 წლის 31 ივლისს, ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

8. დაწესდეს, რომ მოქალაქეებს, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების აღრიცხვაზე იმყოფებიან საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად, შეუძლიათ შექმნან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები იმის უფლებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ რიგს გარეშე გამოეყოთ მშენებლობისათვის საჭირო ტერიტორია და სახელმწიფო კრედიტი.

9. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ სახმშენი და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ამთავრებენ იმ ღონისძიებათა შემუშავებას, რომელთა მიზანია სამშენებლო ბაზის განვითარება ქ. თბილისში ისეთი მასშტაბით, რაც უზრუნველყოფს დაახლოებით 400 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის გადაცემას საექსპლუატაციოდ.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ვ. მჟავანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
ბ. ჩოგოვაძე.

ქ. თბილისი, 1966 წ. 8 თებერვალი, № 88

2 საქართველოს სს რესპუბლიკაში ვაჭრობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ვაჭრობის განვითარებისა და რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

საცალო საქონელბრუნვის 1965 წლის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 100,1 პროცენტით, მათ შორის ვაჭრობის სამინისტრომ გეგმა შეასრულა 100,3 პროცენტით და სამომხმარებლო კოოპერაციამ — 101 პროცენტით.

მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს: სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის განვითარების დონე, მოსახლეობის მომსახურების ხარისხი და კულტურა ჯერ კიდევ ჩამორჩება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მათ უყენებენ.

ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა საკმაო კონტროლს არ უწევენ სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობას.

მთელ რიგ სავაჭრო ორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლა, ადგილი აქვს შეფერხებას იმ საქონლით ვაჭრობაში, რომელიც საწყობებსა და ბაზებში მოიპოვება, არ არის გამოყენებული მთელი შესაძლებლობანი, რათა მაქსიმალურად იქნას მოზიდული საქონელბრუნვაში საქონლის რესურსები, რის შედეგადაც სავაჭრო საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ასრულებს გეგმიან დავალებებს (სახელმწიფო ვაჭრობაში — კომბინატ საქქვანახშირის და ტრესტ საქჰიდროენერგომშენის მუშათა მომარაგების სამმართველოები, აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო, საქკურორტვაჭრობა; სამომხმარებლო კოოპერაციაში — „აბსოიუზი“, მახარაძის რაიკოოპკავშირი და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობას, ისინი არ ასრულებენ საქონელბრუნვის გეგმებს, დაბალია საკუთარი წარმოების პროდუქციის ხვედრითი წონა, მთელ რიგ საწარმოებში საჭმლის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია, კერძები ერთფეროვანია. სუსტადაა გაშლილი საყოველთაო ხელმისაწვდომი სასადილოების ქსელი.

რესპუბლიკის ცალკეული სამრეწველო საწარმოები განაგრძობენ დაბალი ხარისხის საქონლის გამოშვებას, არღვევენ ვაჭრობასთან შეთანხმებულ ასორტიმენტს და არ აწვდიან საქონელს გათვალისწინებული თანხის ოდენობით, ჯერ კიდევ არასაკმაოდ უშვებენ დაფასოებულ, შეფუთულ საქონელსა და ნახევარფაბრიკატებს.

ვაჭრობის სამინისტროს და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ზოგიერთი საბითუმო ბაზა სუსტად ასრულებს თავის მოვალეობას იმ მხრივ, რომ იყვნენ ორგანიზატორები სავაჭრო ორგანიზაციისათვის საქონლის მიწოდებისა მოთხოვნილების შესაბამისად; ისინი მრეწველობისაგან იღებენ დაბალი ხარისხის საქონელს, არადამაკმაყოფილებლად გეგმავენ საქონლის შეზიდვას რაიონებში, რის გამო საცალო ქსელში გროვდება დიდძალი ჩაწოლილი საქონელი.

არასაკმაოდ ვითარდება ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებით სპეციალიზებული საწყობები, ბოსტნეულ და კარტოფილსაცავები; მთლიანად არ ხდება ამ მიზნებისათვის ასიგნებული სახსრების ათვისება. არსებული ტევადობანი ვერ უზრუნველყოფენ ამ პროდუქტების შენახვას და მოსახლეობის შეუფერხებელ მომარაგებას მთელი წლის განმავლობაში.

კვლავ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს კადრების შერჩევას და მათს განაწილებას ხელმძღვანელ და მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე. ამისი პირდაპირი შედეგია სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცების, საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევის არსებული ფაქტები და სხვა ბოროტმოქმედებანი.

საცალო ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების ბევრ საწარმოში უხეშად ირღვევა მომხმარებლებისათვის ჩეკებისა და ანგარიშების მიცემის წესი, აგრეთვე საკონტროლო-საკასო აპარატების ექსპლუატაციის წესები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საქართველოს კპ საოლქო და საქალაქო კომიტეტები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ არასაკმაოდ მუშაობენ ვაჭრობის ორგანიზაციისა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების საკითხებზე, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ვაჭრობის მუშაკთა შორის მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, სოციალისტური შეჯიბრების გაშლას და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს გამგეობას:

ა) განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკაში ვაჭრობის ორგანიზაციის ძირეულად გაუმჯობესებას და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების კულტურის ამაღლებას; მიიღონ მკაცრი ზომები სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას;

ბ) ფართოდ დანერგონ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების პროგრესული ფორმები; გაშალონ სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი და გააუმჯობესონ მათი მუშაობა; ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ საცალო სავაჭრო ქსელის გარეგან გაფორმებას და სამამულო წარმოების საქონლის ახალ სახეობათა რეკლამას;

გ) მიაღწიონ საზოგადოებრივი კვების ქსელის უპირატეს განვითარებას სამრეწველო საწარმოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან, აგრეთვე საყოველთაო ხელმისაწვდომი სასადილოების, კაფეების, კაფე-სარძევეების, საჩაიეებისა და სხვა სპეციალიზებული საწარმოების ქსელის გაფართოებას;

დ) მთავარი ყურადღება მიაქციონ სპეციალიზებული საწყობების, მაცივრების, ბოსტნეულ და კარტოფილსაცავების ტევადობათა გაფართოებასა და გადიდებას; უზრუნველყონ მათი მშენებლობისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება და საექსპლუატაციოდ გადაცემა დაწესებულ ვადებში;

ე) მიიღონ გადამწყვეტი ზომები საბითუმო რგოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად იმ ანგარიშით, რომ საბითუმო ბაზებმა, მოსახლეობის მოთხოვნილების ღრმად შესწავლის საფუძველზე, აძლიონ მრეწველობას დასაბუთებული შეკვეთები, აქტიური ზეგავლენა მოახდინონ წარმოებაზე, ყოველნაირად აიცილონ თავიდან დაბალი ხარისხისა და მოძველებული ფასონების საქონლის შეღწევა სავაჭრო ქსელში, უზრუნველყონ საცალო ქსელის მომარაგება ფართო ასორტიმენტის მაღალხარისხოვანი საქონლით;

ვ) შეიმუშაონ ღონისძიებანი სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის და მკაცრი კონტროლი გაუწიონ საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვას. უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციონ ხელმძღვანელ და მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე კადრების შერჩევის საკითხებს, გადაჭრით გაწმინდონ სავაჭრო ორგანიზაციები ისეთი პირებისაგან, რომლებსაც სახელი აქვთ გატეხილი და ნდობას არ იმსახურებენ;

ზ) ერთი თვის ვადაში მოაწესრიგონ საცალო სავაჭრო ქსელსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში საკონტროლო-საკასო აპარატების მუშაობა და ჩეკებისა და ანგარიშების მიცემა მომხმარებლებისათვის.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, ხეტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის, საშენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალათა მრეწველობის სამინისტროებს, ტრესტ საქთევზმრეწვს და სხვა უწყებებს, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს ამზადებენ.

ა) განიხილონ საქონლის წარმოების გეგმის შესრულების მდგომარეობა და მიიღონ ეფექტიანი ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას საქონლის მიწოდება სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთებით დაწესებული რაოდენობითა და შეთანხმებული ასორტიმენტის მიხედვით;

ბ) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება, მისი გარეგანი სახისა და შეფუთვის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, აგრეთვე ახალი მოდელებისა და ფასონების ისეთი საქონლის დანერგვა წარმოებაში, რომელიც აკმაყოფილებს მყიდველთა მოთხოვნილებასა და გემოვნებას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს:

ა) მკვეთრად აამაღლოს ხორცის ნახევარფაბრიკატების ხარისხი და გააუმჯობესოს საზოგადოებრივი კვებისა და საცალო ვაჭრობის საწარმოების მომარაგება ამ ნახევარფაბრიკატებით;

ბ) განახორციელოს 1966 წელს ნახევარფაბრიკატების საამქროების მშენებლობა ქალაქ სოხუმის, წყალტუბოსა და ბორჯომის ხორცკომბინატებთან, აგრეთვე ასეთი საამქროების რეკონსტრუქცია ქალაქ ბათუმსა და თბილისში.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარ სამმართველოს განიხილონ საკითხი დაფასოებული საქონლის წარმოების შესახებ იმ მიზნით, რომ გადიდდეს იგი 1966 წელს: მაკარონის ნაწარმისა — 2.000 ტონამდე, საკონდიტრო ნაწარმისა — 17.000 ტონამდე, მოუხდელი რძისა — 24.000 ტონამდე, ხაჭოსი — 870 ტონამდე და არაჟანისა (250 გრამიან ტარაში) — 500 ტონამდე, მცენარეული ზეთისა — 600 ტონამდე, დაფასოებული სახის ბურღულის ნაწარმისა — (0,5-დან 1 კილოგრამამდე) — საბაზრო ფონდის 40 პროცენტის ოდენობით.

5. ქ. ტყიბულის ვაჭრობაში პარალელიზმის ლიკვიდაციის მიზნით, გაუქმდეს 1966 წლის 1 მარტიდან საქვაჭრობის ტყიბულის განყოფილება და მისი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოები გადაეცეს ტრესტ ტყიბულქვანახშირის მუშათა მომარაგების განყოფილებას.

6. სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელი ქალაქებსა და მუშათა დაბებში განისაზღვროს მოქმედი რაიონული მაღაზიებით, კულტმაღაზიებით, სამეურნეო მაღაზიებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 თებერვლის № 59 დადგენილების თანახმად და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნამეტით მოვაჭრე ქსელით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 აპრილის № 271 დადგენილების შესაბამისად.

7. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველოს, კომბი-

ნატ საქქვანახშირის მუშათა მომარაგების სამმართველოს, ტრესტ საქქვანახშირის ენერგომშენის მუშათა მომარაგების სამმართველოს, რკინიგზის რესტორნებისა და ბუფეტების ტრესტის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჭრობის სამმართველოს და მუშათა მომარაგების განყოფილებათა სავაჭრო ქსელი უნდა მოქმედებდეს მხოლოდ იმ მოსახლეობისა და კონტინგენტების ზონებში, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ. აღნიშნულ სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად, ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გადაეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს დასახელებული ორგანიზაციების სავაჭრო ქსელი, რომლებიც მათი მოქმედების ზონის გარეთ მდებარეობენ.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი შტატებში, ხელფასის ფონდში ცვლილებათა შეტანისა და სხვა საფინანსო მაჩვენებლების შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ განისაზღვრა სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობის ზონები და საქვაჭრობის ტყიბულის განყოფილება გადაეცა ტრესტ ტყიბულქვანახშირის მუშათა მომარაგების განყოფილებას.

9. იმ მიზნით, რომ შემუშავდეს რეკომენდაციები სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, და რომ უფრო სრულად იქნას დაკმაყოფილებული ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება ფართო მოხმარების საქონელზე, დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, მოამზადონ წინადადებანი ვაჭრობის სამინისტროსთან საბჭოს შექმნის შესახებ და განსახილველად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად, განიხილოს საკითხი, რომ აღდგენილ იქნას წარმოება ფართო მოხმარების საქონლისა, რომელსაც წინათ უშვებდა ადგილობრივი მრეწველობა და საქონლის ახალი სახეობებისა, რომლებიც მოსახლეობის მოთხოვნილებით სარგებლობენ, და თავისი წინადადება წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

11. დაევალოთ რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესის რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს ფართოდ გააშუქონ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების საკითხები, ვაჭრობის ახალი პროგრესული ფორმები და დახლის მუშაკთა მოწინავე გამოცდილება.

12. ვაჭრობის მუშაკთა წახალისების მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალოს დაწესდეს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტანილ იქნას შესაბამისი წინადადებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

13. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

— სისტემატურად იმუშაონ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ხელმძღვანელ და მატერიალურად პასუხისმგებელ მუშაკთა შემადგენლობის ხარისხობრივ გაუმჯობესებას, უფრო გაბედულად დააწინაურონ სამუშაოზე ახალგაზრდობა, ქალები და მიიღონ გადამწყვეტი ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები და ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები.

— გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი, აამაღლონ მათი როლი და პასუხისმგებლობა ვაჭრობის მუშაკთა შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში.

14. დაევალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილებას მიმდინარე წლის სექტემბერში შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 8 თებერვალი, № 89.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

3 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 26 ნოემბრის № 1005 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 26 ნოემბრის № 1005 დადგენილებისა „ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 მარტის № 157 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) პუნქტი 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 25 მაისის № 631 დადგენილებისა „ბაზრების ექსპლუატაციისა და კეთილმოწყობისათვის სახსრების ხარჯვის წესის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 აგვისტოს № 1113 განკარგულება.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 26 ნოემბრის № 1005 დადგენილების თანახმად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 მაისის № 539 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დაემატა პუნქტი 56² შემდეგი შინაარსისა:

„იმ შემთხვევაში, თუ სხვა ქალაქის მიმწოდებელმა არასასურსათო საქონლის მიწოდების დროს დაარღვია შეკვეთით გათვალისწინებული პირობა. მყიდველს შეუძლია საქონლის მოსვლის მომენტიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს საგადამხდელო მოთხოვნა, რათა გადახდეს მიმწოდებელს უაქცეპტო წესით ზედმეტად გადახდილი თანხა ან განაცხადოს იმავე ვადაში შემდგომი უარი წინათ აქცეპტებული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუნაღდებელი ანგარიშის—მიმწოდებლის საგადამხდელო მოთხოვნის აქცეპტზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 4 იანვარი, № 3

4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 ნოემბრის № 649 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წინადადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 ნოემბრის № 649 დადგენილების 1 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველო მისდამი დაქვემდებარებული მუშათა მომარაგების განყოფილებებით და სხვა ობიექტებით (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების № 7 დანართის თანახმად) კომბინატ „საქქვანახშირის“ გამგებლობაში.

2. დაევალოს კომბინატ „საქქვანახშირის“ მუშათა მომარაგების სამმართველოს უზრუნველყოს, რომ მუშათა მომარაგების განყოფილებებმა მომსახურება გაუწიონ მუშა-მოსამსახურეთა მთელ კონტინგენტს, რომელსაც წინათ

მომსახურებას უწევდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ... თა მომარაგების სამმართველო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 10 იანვარი, № 6

5 იმ ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების შესახებ, რომელსაც სახელმწიფო ელექტროსისტემები და ელექტროსადგურები აწვდიან საწარმოო საჭიროებისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერგიის უფრო ფართოდ დანერგვისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 17 დეკემბრის № 1076 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შემცირდეს 1966 წლის 1 იანვრიდან იმ ელექტროენერგიის ტარიფი, რომელსაც სახელმწიფო ენერგოსისტემები და ელექტროსადგურები აწვდიან საწარმოო საჭიროებისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. დამოუკიდებლად ელექტროსადგურების დაქვემდებარებისა, ამასთან დაწესდეს აღნიშნული ელექტროენერგიის ტარიფი ერთი კაპიკის ოდენობით კილოვატსაათში.

შენარჩუნებულ იქნას იმ ელექტროენერგიის მოქმედი ტარიფები, რომელსაც სახელმწიფო ენერგოსისტემა და ელექტროსადგურები აწვდიან აღნიშნულ მომხმარებლებს, თუ ეს ტარიფები ერთ კაპიკზე ნაკლებია კილოვატსაათში.

2. ეცნობოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქმთავარენერგოს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 17 დეკემბრის № 1076 დადგენილებით დაევალა:

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროსთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ორი კვირის ვადაში გამოსცეს ინსტრუქცია იმ ელექტროენერგიის ტარიფის გამოყენების წესის შესახებ, რომელსაც სახელმწიფო ენერგოსისტემები და ელექტროსადგურები აწვდიან აღნიშნულ მომხმარებლებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — შეიტანოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმის მაჩვენებლებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ — მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებთან საკავშირო ბიუჯეტის ურთიერთ ანგარიშსწორებაში და სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების 1966 წლის შემოსავალ-გასავლის ბალანსებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 17 დეკემბრის № 1076 დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 აპრილის № 322 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 14 იანვარი, № 15

6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 ოქტომბრის № 686 დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 ოქტომბრის № 686 დადგენილება „იმის შესახებ, რომ აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს ციტრუსოვანთა ნაყოფის და დაფნის ფოთლის გატანა საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ, აგრეთვე მათი გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 14 იანვარი, № 19

7 ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ჯიშიანი ცხვრისა და ღორის ფასების დანამატების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 დეკემბრის № 1125 დადგენილება „ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ჯიშიანი ცხვრისა და ღორის ფასების დანამატების დაწესების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს.

2. „ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული პირუტყვის, ჯიშიანი ცხენების, ბეწვიანი ნადირისა და ფრინველის ფასების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 ოქტომბრის № 669 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაცვლელად, დაწესდეს 1966 წლის 1 იანვრიდან ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფასები, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 21 იანვარი, № 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 21 იანვრის № 24
დადგენილების დანართი

ფასები

დგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა საქართველოს სს რესპუბლიკაში 1966 წლის 1 იანვრიდან

	ცოცხალი წონის ერთ კილოგრამი (მანეთობ. და კაპ.)
ძროხა, რომლის საშუალო სადღეღამისო წველადობა შეადგენს:	
10-დან 20 კილოგრამამდე	1—35
20 კილოგრამზე მეტს	1—55
უშობელი	1—25
დეკეული	1—15
სარკამეჩი და ფურკამეჩი	1—30

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 1125

1965 წლის 28 დეკემბერი

მოსკოვი, კრემლი

ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ჯიშიანი ცხვრისა და ღორის ფასების დანამატების დაწესების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, იმის შესახებ, რომ დაწესდეს 1966 წლის 1 იანვრიდან ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ჯიშიანი ცხვრისა და ღორის იმ ფასების დანამატი, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 სექტემბრის № 1019 დადგენილებით, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1966 წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 27 სექტემბრის № 1019 დადგენილების დანართის 1 ქვეგანაყოფის მე-6 პუნქტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **კ. სელივანოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1965 წლის 28 დეკემბრის № 1175
დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა მ ა ტ ე ბ ი

ჯიშიანი და ადგილობრივი გაუმჯობესებული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ჯიშიანი ცხვრისა და ღორის ფასებისა

I. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა

(მოქმედი ფასების პროცენტელად)

ჯიშები	კლასი	ბარები		საფერფლე ბბოები		
		წმინდა ჯიშისა და IV თაობისა	III თაობისა	წმინდა ჯიშისა და IV თაობისა	III თაობისა	II და I თაობისა
ალატაუის, ალტაიის, ლებედინის, შვიცის, სიმენტალის, სიჩევსკის, შავ-ჭრელი სოტფრიზის, შავ-ჭრელი ესტონური, შავ-ჭრელი ლიტვური, შავ-ჭრელი შვედური, შოტლანდიის, ხოლმოგორის, ტაგილის, წითელი გორბატოვის, წითელი სავალე, წითელი დანიის, ანგელნის, წითელი ესტონური, წითელი ლიტვური, შეერა ლატვიური, აირშირის, წითელი შვედური, ჯერსეის, თეირთავი უკრაინული, ბესტუჟევის, იაროსლავის	ელიტა-რეკორდი	20	25	25	25	25
	ელიტა	30	30	30	30	30
	პირველი	30	30	30	30	30
	მეორე	—	—	30	30	30
ისტობენის, წითელი პოლონური, წითელი ტამბოვის, ყირგიზეთის, ყაზახური შეერა, ალიბატინის, ალმოსავლურ-ფინური, ალრინის, რუხი უკრაინული; მეერა-ყარაბაღული პირუტყვი, ბეშტაუის პირუტყვი	ელიტა-რეკორდი	25	25	25	25	25
	ელიტა	30	30	30	30	30
	პირველი	30	30	30	30	30
	მეორე	—	—	30	30	30

ჯიშები	კლასი	ბარები		საფერეე ხბოები		
		წვინდა ჯიშისა და IV თაობისა	III თაობისა	წვინდა ჯიშისა და IV თაობისა	III თაობისა	II და I თაობისა
ყაზახეთის თეთრთავა, გერეფორდის, აბერდინ-ანგუსის, კალმეტური, შოტპორნის სახორცე, შაროლე	ელიტა-რეკორდი	20	20	20	20	20
	ელიტა	20	20	20	20	20
	პირველი	25	25	25	25	25
	მეორე	—	—	30	30	30

ადგილობრივი გაუმჯობესებული ძროხის, უშობლისა და საფერე ხბოების მეორე კლასის ჯიშიანი ბუღების, აგრეთვე იმ ჯიშისა და სახეობის პირუტყვის (კამეჩი, ზებუ და სხვა), რომლებიც არ არიან აღნიშნული ამ დანართში, დაწესდება იმ ოდენობით, რასაც განსაზღვრავენ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო აღმასკომები და საოლქო აღმასკომები (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 1 აპრილის № 249 დადგენილებით დაწესებული დანამატების ჩათვლელად), მაგრამ არა უმეტეს სახელმწიფო შესასყიდი ფასებისა საშუალო ნაკვეთების სახორცე პირუტყვზე, 65 პროცენტამდე დანამატით პირუტყვის ხარისხის მიხედვით.

II. ჯიშიანი ცხვრისა

(მოქმედი ფასების ~~ბოლოსთვის~~)

ჯიშები	ორივე მშობელი ელიტის კლასისა		ორივე მშობელი არაუმცირეს პირველი კლასისა		~~მამა-მატლებლის პირველი კლასისა, დედა—ერთი კლასისა~~	
	ელიტა	პირველი კლასი	ელიტა	პირველი კლასი	~~ელიტა~~	~~პირველი კლასი~~
ნაზმატყლიანი:						
პრეკოსი, მერინოულიაში:						
ყოჩი	30	35	35	45	45	45
ბიშაკი	30	40	40	50	50	50
ყიატსკის, ზაბაიკალიეს, ყრასნოიარსკის:						
ყოჩი	20	20	20	20	25	35
ბიშაკი	20	20	20	20	30	40
აზერბაიჯანის მთის მერინოსი:						
ყოჩი	25	25	25	25	25	25
ბიშაკი	25	25	25	25	25	25
ყირგიზული:						
ყოჩი	40	40	40	40	40	40
ბიშაკი	40	40	40	40	40	40

ჯიშები	ორივე ეშობელი ელიტის კლასისა		ორივე მშობელი არაუმეტესი პირველი კლასისა		მაგრ. არაუმეტეს პირველი კლასისა. ფიქსა—სხვა კლასიანი პირ.	
	ელიტა	პირველი კლასი	ელიტა	პირველი კლასი	ელიტა	პირველი
ნახევრადნაზმატყლიანი:						
კეებიშევის, გორკის, ლატვიური მუქმოვიანი, ესტონური მუქმოვიანი, ესტონური თეთრთავა, ლიტვური შავთავა, გერმანული შავთავა, ჩრდილოეთ კავკასიის სახორცე-სამატყლე, ლინკოლნი, რომნიმარში, ოქსფორდშირი, შროპშირი, გემპშირი, სუფოლკი: ცხვრის ჯიშიანი ჯგუფები: ოსტროგოჟის, ლისკინის, ნიენიდეევსკაია, კალინინსკაია, პეჩორსკაია, დეგერესკაია, სახორცე-ადრეული პირუტყვის ნარევი ციგის ჯიშთან:						
ყოჩი	50	40	40	40	40	50
შიშაკი	50	40	40	40	40	50
დალისტნის მთის ჯიში, ოპარინის						
ყოჩი	20	20	20	20	20	20
შიშაკი	20	20	20	20	20	20
მკისმატყლიანი:						
გისარის, ედელბაევის სარაჯინის:						
ყოჩი	15	15	15	15	15	15
შიშაკი	15	15	15	15	15	15
ბალბასი:						
ყოჩი	25	25	25	25	25	25
შიშაკი	25	25	25	25	25	35

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიშები	ორივე მშობელი ელიტის კლასისა		ორივე მშობელი არაუმცირეს პირველი კლასისა		მაგრამ არაუმცირეს პირველი კლასისა, მაგრამ სხვა კლასიანობისა	
	ელიტა	პირველი კლასი	ელიტა	პირველი კლასი	ელიტა	პირველი
მიბნოვის, ეოლოშის, კეზეგეროვის, თეშერი, აგრეთვე სხვა მჭისემატყლიანი:						
ყოჩი	40	40	40	40	40	40
შიშაკი	40	40	40	40	40	40
რომანოვის:						
ყოჩი	40	40	40	40	40	40
შიშაკი	40	40	40	40	40	40

III. ჯიშიანი ღორისა

(მოქმედი ფასების პროცენტულად)

მშობლების კლასიანობა კომპლექსური შეფასებით (პროდუქტიულობა, განვითარება და ექსტერიერი)	ელიტა	პირველი კლასი	მეორე კლასი
ორივე მშობელი ელიტის კლასისა	50	50	50
ორივე მშობელი არაუმცირეს პირველი კლასისა	50	50	50
ორივე მშობელი სხვა კლასიანობისა			

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ველიკანოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 იმის შესახებ, რომ გამოყენებულ იქნას ცდის სახით საავტომობილო მეურნეობათა დაგეგმვისა და მათი ხელმძღვანელობის ახალი წესი

იმ მიზნით, რომ გადიდდეს სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობა და გაძლიერდეს საავტომობილო მეურნეობათა მუშაკების დაინტერესება ავტომობილების ცარიელი გარბენისა და გაცდენის შემცირებით, ავტომობილების შესანახი ხარჯების შემცირებით და საავტომობილო მეურნეობათა მოგების გადიდებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 23 დეკემბრის № 1108 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გადაიყვანოს ცდის სახით 1966 წლის 1 იანვრიდან თბილისის პირველი და მეხუთე სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორები, ქუთაისის მეოთხე სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორა და ავტოკოლონა № 2653-გ, ხოლო საავტომობილო კოლონა № 2654-გ — 1966 წლის 1 თებერვლიდან სრულ თვითანაზღაურებაზე და დაუწესოს ამ საწარმოებს შემდეგი მაჩვენებლები: მოგების გეგმა, ბიუჯეტში მოგებათა ანარიცხების ოდენობა და ხელფასის ფონდი. ყველა დანარჩენ გეგმიან მაჩვენებელს (ტვირთზიდვის, შრომის, თვითღირებულების და სხვ.) დააწესებენ ამ საავტომობილო მეურნეობათა ხელმძღვანელები.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო დაუწესებს 1966 წლისათვის აღნიშნულ საავტომობილო მეურნეობებს იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ძირითად ნუსხას, რომლებსაც მომსახურება უნდა გაუწიონ ამ მეურნეობებმა. სავალდებულო კლიენტურასთან ერთად, ამ საავტომობილო მეურნეობებს შეუძლიათ მომსახურება გაუწიონ თავიანთი შეხედულებით სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს. საავტომობილო მეურნეობანი სამეურნეო ხელშეკრულებებს დადებენ იმ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, რომლებსაც ისინი მომსახურებას გაუწევენ.

დაწესდეს, რომ ამ საავტომობილო მეურნეობათა გეგმიანი მოგებიდან საბიუჯეტო ანარიცხები 1966 წლისათვის შენარჩუნებული იქნება იმ ოდენობით, რაც დამტკიცებული იყო 1965 წლისათვის, ტვირთზიდვის 1966 წლის პროგრამის დაგეგმილი შეცვლის გათვალისწინებით. ზეგეგმითი მოგებიდან ანარიცხები იწარმოებს 40 პროცენტის ოდენობით. გარდა აღნიშნული ანარიცხებისა, სხვა გადარიცხვა ბიუჯეტში არ იწარმოებს.

3. უფლება მიენიჭოთ ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნულ საავტომობილო მეურნეობათა ხელმძღვანელებს პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტების მონაწილეობით:

ა) მოახმარონ ბიუჯეტში თანხების გადარიცხვის შემდეგ დარჩენილი მოგება საავტომობილო მეურნეობის მუშაკთა მატერიალურ სტიმულირებას და ხელფასის გადიდებას, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას და სხვა სოციალურ-კულტურულ საჭიროებებს, ახალი ტექნიკის დანერგვის, მოწყობილობის მოდერნიზაციისა და წარმოების გაფართოების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე საჭირო რეზერვის შექმნას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაუწესონ დაჯილდოების სისტემა მუშაკთა ყველა კატეგორიას მეურნეობის მაჩვენებლების და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მატერიალურ ფასეულობათა მომჭირნეობისათვის;

გ) მუშაკთა შესაბამისი კატეგორიების ნაკლებობისას დამატებით აძლიონ ხელფასის იმ ფონდის ეკონომიის ხარჯზე, რომელიც გადაანგარიშებული იქნება გეგმის შესრულების პროცენტზე, მუშაკებს პროფესიების შეთავსებისათვის შეცვლილი მუშაკის სატარიფო სარგოს ან განაკვეთის 30 პროცენტამდე, უკეთუ შემცირებულია პერსონალის რაოდენობა იმ რაოდენობასთან შედარებით, რაც საჭიროა მომსახურების დაწესებული ნორმების მიხედვით.

აღნიშნული დანამატები და პრემიები მხედველობაში იქნება მიღებული მუშაკის საშუალო ხელფასის გამოანგარიშების დროს;

დ) მატერიალურად წაახალისონ საავტომობილო მეურნეობის სახსრების ხარჯზე სამომსახურეო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკები, რომლებიც უზრუნველყოფენ საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების გაუმჯობესებას;

ე) შემოიღონ ტვირთზიდვის დაწესებული ტარიფების შეღავათები, აგრეთვე გადაახდევინონ საზღაური დამატებითი მომსახურებისა და ტვირთზიდვის განსაკუთრებული პირობებისათვის იმ ოდენობით, რაც დაწესებული იქნება მხარეთა შეთანხმებით;

ვ) შეიძინონ, გაყიდონ და ჩამოწერონ სატრანსპორტო საშუალებანი, მოწყობილობა, ინვენტარი და სხვა მატერიალური ფასეულობანი, მათი საბალანსო ღირებულების დამოუკიდებლად;

ზ) გამოიყენონ ძირითად საშუალებათა სრული აღდგენისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხები, აგრეთვე ზედმეტი და გამოუყენებელი სატრანსპორტო საშუალებათა, მოწყობილობის, ინვენტარისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები სატრანსპორტო საშუალებათა, მოწყობილობისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა შესაძენად. 1966 წელს საამორტიზაციო ანარიცხთა ანგარიშში ძირითად საშუალებათა შეძენის ხარჯების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხებს, რომლებიც გათვალისწინებულია გეგმის გაანგარიშებებით ამ მიზნისათვის;

თ) დააწესონ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის რაოდენობა.

4. განთავისუფლებულ იქნან ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნული საავტომობილო მეურნეობანი შტატებისა და ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების რეგისტრაციისაგან საფინანსო ორგანოებში.

5. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას აძლიოს ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნულ საავტომობილო მეურნეობებს:

ა) სახსრები მათი საანგარიშსწორებო ანგარიშებიდან (მათ შორის ხელფასის გასაცემად) იმ ოდენობით, რაც ამ საავტომობილო მეურნეობებს სჭირდებათ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სესხი ხელფასის გასაცემად, აგრეთვე აძლიოს კრედიტი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა იმ დროებითი დამატებითი მარაგის უზრუნველყოფით, რაც მეურნეობაში შეიქმნება.

6. ნება დაერთოს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას აძლიოს ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნულ საავტომობილო მეურნეობებს კრედიტი 5 წლამდე ვადით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაფართოებლად იმ ანგარიშით, რომ მიღებული სესხი დაიფაროს ამ დადგენილების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული სახსრების ხარჯზე, აგრეთვე გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მიღებული დამატებითი ეკონომიის ხარჯზე.

7. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1965 წლის 3 აპრილის № 268 დადგენილებით ნება დართო საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამშენებლო, მომმარაგებელ-გამსაღებელ და სავაჭრო ორგანიზაციებს მიჰყიდონ ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნულ საავტომობილო მეურნეობებს სატრანსპორტო საშუალებანი, მოწყობილობა და მასალები, აგრეთვე განახორციელონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ამ საავტომობილო მეურნეობებისათვის დადგენილი წესით პირდაპირ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 26 იანვარი, № 37.

9 თბილისის საქალაქო აღმასკომის საბინაო და სააგარაკო კოოპერაციული მშენებლობის სამმართველოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაკმაყოფილდეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და, საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის მოცულობის მნიშვნელოვან გადიდებასთან დაკავშირებით, ნება დაერთოს მას შექმნას საბინაო და სააგარაკო კოოპერაციული მშენებლობის სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სამმართველოს საშტატო რაოდენობა და სტრუქტურა თბილისის საქალაქო აღმასკომს დაუწესდეს მუშაკთა იმ საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც მას დაუმტკიცდა 1966 წლისათვის.

2. ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნული თბილისის საქალაქო აღმასკომის საბინაო და სააგარაკო კოოპერაციული მშენებლობის სამმართველოს შენახვა მოხდეს იმ სახსრების ხარჯზე, რაც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვებით კოოპერაციული სახლების მშენებლობისათვის.

3. დაეკისროს თბილისის საქალაქო აღმასკომის საბინაო და სააგარაკო კოოპერაციული მშენებლობის სამმართველოს საბინაო და სააგარაკო (საგარეუბნო კურორტებზე) კოოპერაციული მშენებლობის შემკვეთის ფუნქციები.

4. თბილისის საქალაქო აღმასკომის საბინაო და სააგარაკო კოოპერაციული მშენებლობის სამმართველოს მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები დაწესდეს იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია ზემდგომი ორგანოების 1964 წლის 15 ივლისის დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 31 იანვარი, № 44.

10 რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემის მოწესრიგების შესახებ

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები ახალქალაქის, ახალციხის, გურჯაანის, გაგრის, გალის, გუდაუთის, დუშეთის, მცხეთის, მახარაძის, მარნეულის, ოჩამჩირის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, ზესტაფონის, ზუგდიდის, კასპის, ქობულეთის, წულუკიძის, წყალტუბოს, წითელწყაროს, ლანჩხუთის, ლაგოდეხის, ხაშურის, ცხაკაიას რაიონებში და ქალაქ ჭიათურაში, ამასთან ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება დაეკისროს მთლიანად რაიაღმასკომების და ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შესაბამის სამმართველოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გარდაიქმნან აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ბორჯომის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ვანის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გულრიფშის, ჯავის, გორის, დმანისის, ზნაურის, ყაზბეგის, ქარელის, ქედის, ყვარლის, ლენტეხის, ლენინგორის, მაიაკოვსკის, მესტიის, ორჯონიკიძის, საჩხერის, თერჯოლის, თიანეთის, თეთრიწყაროს, ხობის ხულოს, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს და შუახევის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებად.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ, ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნულ რაიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების გაუქმებასთან დაკავშირებით შეამციროს ადმინისტრაციულ-სამმართველო და საამქრო პერსონალის რაოდენობა 40 ერთეულით ხელფასის 30 ათასი მანეთის წლიური ფონდით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი. 1966 წ. 4 თებერვალი, № 56

11 „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლის“ სამკერდე ნიშნის დამტკიცების შესახებ

თბილისის მეტროპოლიტენის პირველი უბნის სამუშაოთა წარმატებით დამთავრებასთან და მის საექსპლუატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს სამკერდე ნიშანი „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“.

2. დამტკიცდეს:

ა) დებულება სამკერდე ნიშნისა „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“;

ბ) აღწერილობა სამკერდე ნიშნისა „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“.

3. ნება დაერთოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაამზადოს სამკერდე ნიშნები „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამკერდე ნიშნების დამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები გადაეფარ-ოს იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 მაისის № 343 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 5 თებერვალი, № 68.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 5 თებერვლის № 68
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამკერდე ნიშნისა „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“

1. „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდებიან თბილგვირაბმშენის, სუბმოიჯარე, საპროექტო ორგანიზაციების და თბილისის მეტროპოლიტენის მოწინავე მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ მეტროპოლიტენის მშენებლობაში.

2. დაჯილდოება ნიშნით „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“ იწარმოებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით თბილგვირაბმშენის, სუბმოიჯარე, საპროექტო ორგანიზაციების და თბილისის მეტროპოლიტენის პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა წარდგენით.

3. ნიშანს „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“ დაჯილდოებულთ გადასცემენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ან მისი მოადგილეები.

4. სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულ პირს მიეცემა მისი ტარების უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

სამკერდე ნიშანი „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“ დაჯილდოებულმა უნდა ატაროს მკერდის მარჯვენა მხარეს, სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების ქვემოთ.

5. ნიშნით „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“ დაჯილდოებულ პირებს უფლება ენიჭებათ ატარონ ნიშანი სხვა სამუშაოზე, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში გადასვლის შემდეგ ან საპენსიო უზრუნველყოფაზე გადასვლის შემდეგაც.

6. ჩამორთმევა ნიშნისა „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“ წაერ-ეოებს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით დაჯილდოებულის მიერ ჩადენილი უღირსი საქციელისათვის.

7. იმ პირებს, რომლებმაც დაკარგეს ნიშანი „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“, ახალი ნიშანი არ მიეცემათ.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 5 თებერვლის № 68
დადგენილებით

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

სამკერდე ნიშნისა „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“

სამკერდე ნიშანი „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“ წარმოადგენს ნეიზილბერისაგან დამზადებულ, ვერტიკალურ სწორკუთხედს, მომრგვალებული მარჯვენა, ზედა კუთხით. ნიშნის სიგანეა 22 მმ, სიმაღლე — 31 მმ.

ნიშანი შესრულებულია ამოზნექილი, კონტურული ხაზებითა და წარწერებით. ნიშნის ძირითადი ფონია მუქი (ოქსიდირებული ნეიზილბერი), ფერის ლაქები შესრულებულია მინანქრით.

ნიშნის ზემო ნაწილში გამოსახულია საქართველოს სსრ დროშა, დროშის ქვეშ განლაგებულია თაღისებრი კონტურული ხაზები, რომლებიც თანდათანობით მცირდებიან და ქმნიან გვირაბის პერსპექტიულ აღქმას.

გარეგან თაღზე ამოზნექილი შრიფტით გაკეთებულია წარწერა: „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“ (ქართულ და რუსულ ენებზე).

გვირაბის სიღრმეში გამოსახულია ცისფერი მატარებელი კაშკაშა ყვითელი ფარებით.

გვირაბის სიღრმეში მიმავალ ორ ხაზს შორის, რომლებიც რელსების შთაბეჭდილებას ქმნიან, განლაგებულია მეტროს მწვანე მინანქრის ემბლემა.

ნიშნის ქვემო ნაწილში გაკეთებულია წარწერა „თბილისი“ (ქართულ და რუსულ ენებზე), რომელთა შორის აღნიშნულია თბილისის მეტროპოლიტენის მაგისტრალის პირველი რიგის დამთავრების თარიღი.

ნიშნის მეორე მხარეზე ჩარჩილულია ქინძისთავი სამკერდე ნიშნის დასამაგრებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებების ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1966 წლის 1 იანვრიდან რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებების ტიპობრივი შტატები, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკასთან“, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 14 მაისის № 288 დადგენილება „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებათა და განყოფილებათა ტიპობრივი შტატების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 7 თებერვალი, № 70

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 7 თებერვლის № 70
დადგენილების დანართი

ტიპობრივი შტატები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებებისა

თანამდებობათა და სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა დასახელება	პირველი ჯგუფი სამუშაოთა მოცულობით 250 ათას მანეთზე მეტი	მეორე ჯგუფი სამუშაოთა მოცულობით 250 ათას მანეთამდე
1. მმართველი	1	1
2. მმართველის მოადგილე — მთავარი ინჟინერი	1	1
3. მმართველის მოადგილე ვაჭრობის დარგში	1	1
4. მმართველის მოადგილე მექანიზებული რაზმების ხაზით	1	1
5. მეურნეობის გამგე — სახანძრო-სადარაჯო დაცვის უფროსი	1	1
6. მდივანი-მემანქანე	1	1
7. დამლაგებელი	1	1
სულ	7	7
მოთხოვნილების შესწავლის, მანქანების, მინერალური სასუქების და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის დანერგვისა და გაყიდვის ორგანიზაციის ჯგუფი		
1. უფროსი ინჟინერი (ჯგუფის ხელმძღვანელი)	1	1
2. უფროსი აგრონომი სასუქების დარგში	1	—
3. უფროსი აგრონომი მცენარეთა დაცვის დარგში	1	1
4. ინჟინერი ნავთობისა და ნავთობმეურნეობის დარგში	1	—
5. ინჟინერი	1	—
6. ინჟინერი	1	1
7. უფროსი ეკონომისტი	1	1
სულ	7	4
ბუღალტერია		
1. უფროსი ბუღალტერი (მთავარი ბუღალტრის უფლებებით)	1	1
2. უფროსი ბუღალტრის მოადგილე	1	1
3. ბუღალტერი	2	1
4. მოანგარიშე-მოლარე	1	1
სულ	5	4

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 7 თებერვლის № 70
დადგენილების დანართი

ტიპობრივი შტატები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილებებისა

თანამდებობათა და სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა დასახელება	პირველი ჯგუფი სამუშაოთა მოცულობით 250 ათას მანეთზე მეტი	მეორე ჯგუფი სამუშაოთა მოცულობით 250 ათას მანეთამდე
1. მმართველი	1	1
2. მმართველის მოადგილე — მთავარი ინჟინერი	1	1
3. მმართველის მოადგილე ვაჭრობის დარგში	1	1
4. მმართველის მოადგილე მექანიზებული რაზმების ხაზით	1	1
5. მეურნეობის გამგე — სახანძრო-სადარაჯო დაცვის უფროსი	1	1
6. მდივანი-მემანქანე	1	1
7. დამლაგებელი	1	1
სულ	7	7
მოთხოვნილების შესწავლის, მანქანების, მინერალური სასუქების და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის დანერგვისა და გაყიდვის ორგანიზაციის ჯგუფი		
1. უფროსი ინჟინერი (ჯგუფის ხელმძღვანელი)	1	1
2. უფროსი აგრონომი სასუქების დარგში	1	—
3. უფროსი აგრონომი მცენარეთა დაცვის დარგში	1	1
4. ინჟინერი ნავთობისა და ნავთობმეურნეობის დარგში	1	—
5. ინჟინერი	1	—
6. ინჟინერი	1	1
7. უფროსი ეკონომისტი	1	1
სულ	7	4
ბუღალტერია		
1. უფროსი ბუღალტერი (მთავარი ბუღალტრის უფლებებით)	1	1
2. უფროსი ბუღალტრის მოადგილე	1	1
3. ბუღალტერი	2	1
4. მოანგარიშე-მოლარე	1	1
სულ	5	4

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა და სტრუქტურულ ქვეგანაყოფთა დასახელება	პირველი ჯგუფი სამუშაოთა მოცულობით 250 ათას მანეთზე მეტი	მეორე ჯგუფი სამუშაოთა მოცულობით 250 ათას მანეთამდე
სავაჭრო ბაზა		
1. ბაზის დირექტორი — უფროსი ინჟინერი . .	1	1
2. საქონელმცოდნე	1	—
3. ბუღალტერი	3	2
4. საწყობის გამგე	3—5	2—3
სულ . . .	8—10	5—6
სარემონტო სახელოსნო		
1. სახელოსნოს გამგე	1	1
2. ინჟინერ-კონტროლიორი	1	—
3. ინჟინერ-ნორმადარი	1	1
4. ბუღალტერი	1	1
სულ . . .	4	3
მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია		
1. უფროსი ინჟინერი მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დარგში	1	1
2. ინჟინერ-ელექტრიკოსი	1	1
სულ . . .	2	2
ავტოტრანსპორტი		
1. ავტომექანიკოსი	1	1
სულ . . .	34—36	26—27

შენიშვნა: 1. საწყობის გამგის თანამდებობა დაწესდება საწყობთა რაოდენობის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 5-სა პირველი ჯგუფისათვის და 3-სა მეორე ჯგუფისათვის.

2. სარემონტო სახელოსნოს შტატი დაწესებულია ერთ სახელოსნოზე.

3. უფროსი ინჟინრის — რაზმის უფროსის თანამდებობა დაწესდება რაზმების რაოდენობის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ინჟინერ-მექანიზატორის თანამდებობა დაწესდება ტექნიკური მომსახურების სადგურების რაოდენობის მიხედვით.

5. თანამდებობა მმართველის მოადგილისა მექანიზებული რაზმების ხაზით დაწესდება სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, როდესაც იგი რბილი ხვნის 15 ათას ჰექტარს აღემატება.

6. თანამდებობა მმართველის მოადგილისა ვაჭრობის დარგში დაწესდება საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, როდესაც იგი 800 ათას მანეთს აღემატება.

7. განყოფილებათა სამუშაოების მოცულობის განსაზღვრისას მიიღება საქონელბრუნვის გეგმის შესწორებითი კოეფიციენტი — 0,1.

8. ჩამოთვლილ თანამდებობათა გარდა, განყოფილების შტატში სამუშაოთა მოცულობის მიხედვით შეიძლება შეტანილ იქნას დამატებით მეკუჭნავის თანამდებობა და სხვა (არარეგისტრირებული — საწარმოო) პერსონალი განყოფილებისათვის დაწესებული შრომის გეგმის ფარგლებში.

9. „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებებში შტატებს დაამტკიცებს განყოფილების მმართველი შრომის დაწესებული გეგმის, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა რაოდენობის და ხელფასის ფონდის ფარგლებში, ამ ტიპობრივი შტატის საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 ბეწვეულისა და ქურქ-ნედლეულის შესყიდვის გადიდების ზომების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 იანვრის № 27 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმ მიზნით, რომ გადიდდეს ბეწვეულის შესყიდვა მოხალისე მონადირეებისაგან და გაუმჯობესდეს მათ მიერ დამზადებული ბეწვეულის ჩაბარების პირობები:

ა) უფლება მიენიჭოთ საქართველოს მონადირეთა კავშირს და ამიერკავკასიის სამხედრო-სამონადირეო საზოგადოებას აწარმოონ საკონტრაგენტო საწყისებზე, ცეკავშირის ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებებით, ნანადირევი ბეწვეულის შესყიდვა მოხალისე მონადირეებისაგან.

ცეკავშირის ორგანიზაციებმა აძლიონ მონადირეთა საზოგადოებებს, მოხალისე მონადირეებისაგან ბეწვეულის შესყიდვის საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად, ჩაბარებული ბეწვეულის ღირებულების ფასნამატი იმ ფასნამატის რაოდენობით, რაც ეძლევათ სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებებს, ხოლო თუ ბეწვეული უშუალოდ ქურქ-ბეწვეულის ბაზებს ეგზავნებათ — დამატებით იმ ფასნამატის 90 პროცენტი, რაც რაიკოოპკავშირებს ეძლევათ;

ბ) დაევალოს ცეკავშირის დამამზადებელ ორგანიზაციებს აძლიონ მონადირეთა საზოგადოებებს, რომლებისგანაც ხდება ბეწვეულის შესყიდვა საკონტრაგენტო საწყისებზე, ნაღდი ფული, რათა გაუსწორონ ანგარიში მოხალისე მონადირეებს მათ მიერ ჩაბარებული ბეწვეულისათვის.

მონადირეთა საზოგადოებებს ნაღდი ფული მიეცეთ იმ საავანსო კრედიტის თანხის ანგარიშში, რომელსაც სახელმწიფო ბანკის რაიონულ განყოფილებებში იღებენ ცეკავშირის დამამზადებელი ორგანიზაციები იმისათვის, რომ ანგარიში გაუსწორონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩამბარებელ კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ:

ა) გამოუყონ 1966-1970 წლებში ყოველწლიურად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნადირთმომშენებლობის საბჭოთა მეურნეობისათვის 170 ტონა მეორე კატეგორიის სუბპროდუქტები და 20 ტონა ცხენის ხორცი; საქართველოს მონადირეთა კავშირს — ნადირთმომშენებლობის ფერმისათვის — 20 ტონა მეორე კატეგორიის სუბპროდუქტები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოაწყოს, რომ საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ჩააბარონ ხორცგადამმუშავებელ საწარმოებს საჭირო რაოდენობის ცხენები;

ბ) ყოველწლიურად გამოუყონ ცეკავშირს მისი განაცხადით, საბაზრო ფონდების ხარჯზე ფქვილი, ბურღული და სხვა სასურსათო საქონელი მონადირეებისათვის მისაყიდად რეწვის სეზონში მათგან შესასყიდი ბეწვეულის ღირებულების 50 პროცენტამდე თანხის ოდენობით, აგრეთვე გამოუყონ სა-

ჭირო რაოდენობის მარცვალფურაჟი და კომბინირებული საკვები მოხალისე მეკურდღლეებისა და ბეწვეულის ჩამბარებელი მონადირეებისათვის მისაყიდად (სარეწაო ძაღლების გამოსაკვებად).

3. მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1966 წლის 12 იანვრის № 27 დადგენილებით:

ა) დაავალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს გაათავისუფლოს შტატის მესარეწე მონადირეები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც დროებით არიან გამოყენებული ბეწვეულის მოსაპოვებლად ხელშეკრულებათა მიხედვით, იმ შემოსავლიდან გადასახადის გადახდისაგან, რაც მათ მიიღეს მოპოვებული ბეწვეულის რეალიზაციის შედეგად;

ბ) უფლება მიანიჭა ნადირთმომშენებლობის საბჭოთა მეურნეობებს და სამომხმარებლო კოოპერაციის ნადირთმომშენებლობის მეურნეობებს აწარმოონ, 1966 წლიდან დაწყებული, სახსრების გადარიცხვა ბეწვეულის რეალიზაციისაგან მიღებული თანხების 3 პროცენტის ოდენობით ბეწვიანი ნადირის სულადობის შესავსებად, აგრეთვე გადახურვათა და სხვა საწარმოო ნაგებობათა მშენებლობისათვის იმ კაპიტალურ დაბანდებათა გადამეტებით, რაც გათვალისწინებულია ბეწვიანი ნადირთმომშენებლობის განვითარებისათვის გალიებში;

გ) მეკურდღლეობის განვითარებისათვის ორგანიზაციული მუშაობის გასახორციელებლად ნება დართო სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს იმ რაიონებში, სადაც კურდღლისა და კურდღლის ტყავის შესყიდვის წლიური გეგმა 10 ათას ცალს აღემატება, იყოლიონ მეკურდღლეობის ინსტრუქტორები შრომის დაწესებული გეგმების ფარგლებში;

დ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 4 ოქტომბრის № 1060 დადგენილების მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაცვლელად, დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს ნადირთმომშენებლობის საბჭოთა მეურნეობებს კრედიტი ნადირთმომშენებლობის ფერმების მშენებლობისა და ბეწვიანი ნადირის ძირითადი ჯოგის შესაძენად 300 ათას მანეთამდე ერთ ობიექტზე იმ დროიდან 3 წლის ვადით, რაც საბჭოთა მეურნეობას აღნიშნული მიზნისათვის მიეცა პირველი სესხი, იმ პირობით, რომ მოხდეს დანახარჯების სრული ანაზღაურება და დაიფაროს კრედიტი ამ ვადის განმავლობაში მეურნეობის მთელი საქმიანობისაგან მიღებული მოგების ხარჯზე;

ე) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 4 ოქტომბრის № 1060 დადგენილების მე-17 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, ნება დართო სარეწაო ნადირობის ძირითად რაიონებში განლაგებულ საწარმოებსა და დაწესებულებებს აძლიონ ბეწვეულის რეწვის სეზონში, დამამზადებელი ორგანიზაციების შუამდგომლობით, მუშა-მოსამსახურეებს — გამოცდილ მონადირეებს უხელფასო შვებულება 1-2,5 თვის ვადით ისე, რომ ამან ზიანი არ მიაყენოს წარმოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 ნოემბრის № 771 დადგენილების მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი და ქვეპუნქტი „ბ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 12 თებერვალი, № 76.

14 საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 იანვრის № 57 დადგენილება „საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტებს და სამმართველოებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. დაწესდეს, რომ საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღებას, გარდა უნიკალური და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტებისა, აწარმოებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებსაც დანიშნავენ:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — რესპუბლიკური დაქვემდებარების იმ საწარმოებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2,5 მილიონი მანეთი და მეტია;

ბ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, სამინისტროები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტები და სამმართველოები, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი — დაქვემდებარებული ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,5 მილიონი მანეთიდან 2,5 მილიონ მანეთამდეა;

გ) საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ტრესტები, სამმართველოები, განყოფილებები — იმ ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,5 მილიონ მანეთამდეა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები — დაქვემდებარებული ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,1 მილიონ მანეთამდეა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 12 თებერვალი, № 78

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 57

1966 წლის 22 იანვარი

მოსკოვი, კრემლი

საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ

იმ მიზნით, რომ შემდგომ მოწესრიგდეს (საწარმოების, მათი ცალკეული რიგების, ასამუშავებელი კომპლექსების, შენობებისა და ნაგებობების) საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების მიღება საექსპლუატაციოდ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საწარმოო დანიშნულების ობიექტებს, რომელთა მშენებლობა (ან რეკონსტრუქცია) დამთავრებულია პროექტის შესაბამისად და მომზადებულია ექსპლუატაციისათვის, მისაღებად წარუდგენს შემკვეთი (მენაშენე) სახელმწიფო მიმღებ კომისიებს.

ვიდრე სახელმწიფო მიმღებ კომისიებს წარედგინებოდეს ობიექტები ექსპლუატაციისათვის მისაღებად, სამუშაო კომისიებმა, რომლებსაც დანიშნავს შემკვეთი (მენაშენე), უნდა მოახდინონ ცალკეული კონსტრუქციებისა და კვანძების შემოწმება, შენობათა და ნაგებობათა მიღება, მოწყობილობისა და მექანიზმების გასინჯვა, გამოცდა და მიღება.

აიკრძალოს საექსპლუატაციოდ მიღება ობიექტებისა ისეთი დეფექტებით, რომლებიც ხელს უშლიან მათს ნორმალურ ექსპლუატაციას და აუარესებენ მომუშავეთა შრომის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებსა და უსაფრთხობას, იმ ობიექტებისა, რომელთა მშენებლობის დროს დარღვეულია დამტკიცებული პროექტი ან ასამუშავებელი კომპლექსის შემადგენლობა, აგრეთვე თუ არ არის გასინჯული, გამოცდილი და შემოწმებული მთელი დაყენებული მოწყობილობის მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო მიმღებმა კომისიებმა მიიღონ საექსპლუატაციოდ საწარმოო დანიშნულების ობიექტები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაყენებულ მოწყობილობაზე დაწყებულია პროექტით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვება.

2. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საპროექტო, საიჯარო-სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებისა და შემკვეთების (მენაშენეების) პასუხისმგებლობა საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემისა და მათი საპროექტო სიმძლავრეთა ათვისებისათვის, დაწესდეს, რომ:

საპროექტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან პროექტების, ხარჯთაღრიცხვების ხარისხისა და მშენებლობების დროულად უზრუნველყოფისათვის ამ პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვებით, იმისათვის, რომ საექსპლუატაციოდ გადაცემული ობიექტების სიმძლავრენი და სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები შეესაბამებოდეს პროექტით გათვალისწინებულ სიმძლავრეებსა და მაჩვენებლებს, საავტორო ზედამხედველობის განხორციელებისა და დაპროექტებასთან დაკავშირებული ყველა იმ საკითხის გადაწყვეტისათვის, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ობიექტების მშენებლობის, საექსპლუატაციოდ მიღებისა და მათი საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების პროცესში;

საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებისათვის პროექტის შესაბამისად და დაწესებულ ვადებში, ამ სამუშაოთა სათანადო ხარისხისათვის, მათ მიერ დამონტაჟებული მოწყობილობის გასინჯვისა და გამოცდისათვის, მშენებლობისა და სამონტაჟო სამუშაოთა მიღების პროცესში გამოვლინებული მოუთავებელი სამუშაოებისა და დეფექტების დროულად აღმოფხვრისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა შექმნისათვის და იმისათვის, რომ ჩააბარონ შემკვეთს (მენაშენეს) მშენებლობადამთავრებული ობიექტები მოწყობილობის კომპლექსური გასინჯვის ჩასატარებლად და პროდუქციის გამოშვების დასაწყებად;

შემკვეთები (მენაშენეები) პასუხისმგებელი არიან იმისათვის, რომ დროზე იქნას მომზადებული წარმოება პროდუქციის გამოსაშვებად საექსპლუატაციოდ გადასაცემ ობიექტებზე (მათი დაკომპლექტება კადრებით, უზრუნველყოფა ნედლეულით, მასალებით, ენერგორესურსებით და სხვ.), მოწყობილობის კომპლექსური გასინჯვის ჩატარებისათვის (უქმად და სამუშაო რეჟიმებზე) საპროექტო, საიჯარო სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მონაწილეობით, ხოლო თუ საჭირო იქნა, სპეციალური და უნიკალური მოწყობილობის დამამზადებელი ქარხნების მონაწილეობითაც; ტექნოლოგიური პროცესების აწყობისათვის, საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემისათვის დაწესებულ ვადებში, სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და საპროექტო სიმძლავრეთა ათვისებისათვის სიმძლავრეთა ათვისების მოქმედი ნორმებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. დაწესდეს, რომ:

ა) უნიკალური და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საწარმოო დანიშნულების ობიექტების მიღებას საექსპლუატაციოდ აწარმოებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებსაც დანიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბ-

ჭო სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგენით. ასეთი ობიექტების ნუსხა განისაზღვრება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური გეგმებით;

ბ) საწარმოო დანიშნულების იმ ობიექტების მიღებას საექსპლუატაციოდ (გარდა „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულისა), რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2,5 მილიონი მანეთი და მეტია, აწარმოებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებსაც დანიშნავენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები — ამ სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში შემავალი საწარმოებისათვის და ის კომისიები, რომლებსაც დანიშნავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები — რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისათვის.

საწარმოო დანიშნულების 2,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტების მიღებას საექსპლუატაციოდ აწარმოებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებიც დაინიშნებიან შესაბამისად სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით.

4. საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების სახელმწიფო მიმღებ კომისიებში შეყვანილ უნდა იქნან შემკვეთის (მენაშენის), გენერალური მოიჯარის, გენერალური დამპროექტებლის, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოების, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოების, პროფკავშირთა საბჭოების ტექნიკური ინსპექციის, შემკვეთის (მენაშენის), პროფკავშირული ორგანიზაციის და დამფინანსებელი ბანკის წარმომადგენლები.

საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების სახელმწიფო კომისიების დანიშვნა ხდება თავის დროზე წარმოების ხასიათისა და სირთულის მიხედვით, მაგრამ არა უგვიანეს 3 თვისა იმ ვადამდე, რომელიც დაწესებულია მშენებარე ობიექტების გადასაცემად საექსპლუატაციოდ.

5. საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების აქტებს განიხილავენ და დაამტკიცებენ ის ორგანოები, რომლებმაც სახელმწიფო მიმღები კომისიები დანიშნეს, არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა აქტების წარდგენის შემდეგ.

დაწესდეს, რომ ანგარიშგებაში სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულების შესახებ შეიტანება მხოლოდ ის ობიექტები, რომელთა საექსპლუატაციოდ მიღების აქტები დამტკიცებულია შესაბამისი ორგანოს მიერ.

საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების თარიღად ითვლება სახელმწიფო მიმღები კომისიის მიერ აქტის ხელმოწერის თარიღი.

6. დაწესდეს, რომ საწარმოო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების დროს ცვლილების შეტანა პროექტით გათვალისწინებულ სიმძლავრეებსა და სხვა ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებში, როგორც წესი, არ შეიძლება. განსაკუთრებულ შემთხვევებში ამ მაჩვენებლების შეცვლა შეუძლია მხოლოდ იმ ორგანოს, რომელმაც დაამტკიცა ობიექტის საექსპლუატა-

ციოდ მიღების აქტი, სახელმწიფო მიმღები კომისიის წარდგენით. ეს ცვლილებანი შეთანხმებულ უნდა იქნას სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში შემავალი ობიექტების მიხედვით — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახმშენთან და რესპუბლიკური დაქვემდებარების ობიექტების მიხედვით — მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სახმშენთან.

7. საწარმოო დანიშნულების მშენებლობადამთავრებული ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების დროს სახელმწიფო მიმღებმა კომისიებმა შეამოწმონ, თუ რამდენად შეესაბამება მშენებლობის საექსპლუატაციოდ გადასაცემი სიმძლავრენი და ფაქტიური ღირებულება იმ ობიექტის მშენებლობის სიმძლავრესა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას, რომელიც გათვალისწინებულია დამტკიცებული პროექტით და გადახვევების აღმოჩენის შემთხვევაში გააანალიზონ მათი წარმოშობის მიზეზები. გადახვევათა ანალიზის შედეგები შესაბამისი წინადადებებით წარუდგინონ იმ ორგანოებს, რომლებმაც დაამტკიცეს ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების აქტები.

8. სსრ კავშირის სახმშენმა სამი თვის ვადაში:

შეიტანოს სამშენებლო ნორმებსა და წესებში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებები;

შეიმუშაოს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს და დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, და დაამტკიცოს დებულება იმ ობიექტების საექსპლუატაციოდ მიღების შესახებ, რომელთა მშენებლობა ხორციელდება კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე.

9. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა არა უგვიანეს 1966 წლის 1 მაისისა შეიმუშაონ და დაამტკიცონ სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით, მშენებლობადამთავრებული საწარმოების, ობიექტების, საამქროებისა და წარმოებების საექსპლუატაციოდ მიღების წესები შესაბამისი დარგების მიხედვით;

10. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას სსრ კავშირის სახმშენთან ერთად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება იმის შესახებ, რომ შეტანილ იქნას მოქმედ კანონმდებლობაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

15 ამიერკავკასიის რკინიგზაზე მოქალაქეთა უბედური შემთხვევების თავიდან აცილების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის რკინიგზაზე კვლავ გრძელდება მოქალაქეთა უბედური შემთხვევები, რაც იმის შედეგია, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და რკინიგზის ზოგიერთი განყოფილების ხელმძღვანელები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ რკინიგზის ლიანდაგებსა და სადგურებში მოქალაქეთა გავლისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხს.

საკმარისი არ არის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში რკინიგზის ლიანდაგებზე ყოფნის საშიშროების შესახებ; ყველგან როდია მიღებული ზომები საქვეითო და სავალი გზების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის რკინიგზის ვაკისის გასწვრივ სადგურებამდე და გასაჩერებელ პუნქტებამდე, არ ტარდება სხვა საჭირო ღონისძიებანიც, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა უსაფრთხობას.

მილიციის ორგანოები, გზის გასამხედროებული დაცვის ქვეგანაყოფები, აგრეთვე მატარებელთა ბრიგადებისა და ლიანდაგის სამსახურის მუშაკები არ ეწევიან სათანადო ბრძოლას იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ მოქალაქეთა სიარული რკინიგზის ლიანდაგებზე, მათი მგზავრობა ვაგონების საფეხურებზე და ტამბურებში.

მიაჩნია რა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, ყველა დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო ამოცანად ეფექტურ ღონისძიებათა განხორციელება რკინიგზის ლიანდაგებსა და სადგურებში მოქალაქეთა უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) განახორციელონ 1966-1968 წლებში არსებული საქვეითო გზების რემონტი, კეთილმოწყობა და ახალი ასეთი გზების მშენებლობა (იქ, სადაც ეს საჭიროა) რკინიგზის ვაკისის გასწვრივ, აგრეთვე სადგურებისაკენ, გასაჩერებელი პუნქტებისაკენ, საქვეითო ხიდებისა და გვირაბებისაკენ მიმავალი გზების შეკეთება;

ბ) დაევალოთ რკინიგზის ლიანდაგების ზონებში მდებარე საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შემოაკავონ 1966-1968 წლების განმავლობაში თავიანთი ტერიტორია, ამასთან გამოყონ რკინიგზის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მატარებლებისაკენ უსაშიშრო გასასვლელები და ჩაატარონ მათი კეთილმოწყობა;

გ) უზრუნველყონ რკინიგზის ლიანდაგებთან მდებარე სახლების ზღუდეების, აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთების შენახვა წესიერ მდგომარეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოთ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გააუმჯობესონ მილიციის ორგანოების, გასამხედროებული დაცვის ქვეგანაყოფების, აგრეთვე მატარებელთა ბრიგადებისა და ვაგზლების მუშაკთა საქმიანობა გზაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის, ამასთან აღკვეთონ ადამიანთა სიარული ლიანდაგებზე, მათი მგზავრობა ვაგონების სახურავებზე, საფეხურებზე, ტამბურებში და საბარგო მატარებლებში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) სისტემატურად ჩაატარონ საუბრები სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებთან რკინიგზაზე მოსწავლეთა ქცევის წესებისა და რკინიგზის ტრანსპორტზე პირადი სიფრთხილის ზომების შესახებ;

ბ) სავალდებულოდ ჩაითვალოს, რომ რკინიგზის ლიანდაგების მახლობლად მდებარე სკოლების უმცროსი კლასების მოსწავლეებს თან გაყვნენ მშობლები ან მასწავლებლები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მათი გადასვლა ლიანდაგზე მხოლოდ დაწესებულ ადგილებში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, 1967-1968 სასწავლო წლიდან დაწყებული, შეიტანოს უსაფრთხობის ტექნიკის სწავლების პროგრამაში უმაღლესი სასწავლებლებისა, ტექნიკუმებისა და კურსებისათვის თემა: „პირადი სიფრთხილის ზომები რკინიგზის ტრანსპორტით სარგებლობისა და რკინიგზის ტერიტორიებზე ყოფნის დროს“.

5. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სისტემატურად განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რკინიგზაზე მოქალაქეთა ქცევის წესების განმარტება, გამოიყენონ ამ მიზნისათვის რადიო და ტელევიზია.

დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან საშეკვეთო საწყისებზე, გამოუშვან ბროშურები, სამახსოვროები და პლაკატები მოსახლეობისა და მოსწავლეებისათვის, მოაწყონ რადიოგადაცემები რკინიგზაზე მოქალაქეთა ქცევის წესების შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ჩაატაროს იმის მასობრივი შემოწმება, თუ როგორ სრულდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 21 იანვრის დადგენილება „ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და მაგარი სასმელებით ვაჭრობაში წესრიგის დამყარების შესახებ“.

7. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს რკინიგზის მაგისტრალების მახლობლად სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ობიექტების აშენებისა და განვითარების დროს განახორციელონ სავალდებულო წესით სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობა და აკრძალონ ამ ობიექტების გადაცემა საექსპლუატაციოდ, თუ ასეთი კომუნიკაციები არ იქნა მოწყობილი.

8. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ მკაცრი კონტროლი გაუწიოს ახალი სარკინიგზო ხაზების გადაცემას საექსპლუატაციოდ, აკრძალოს იმ უბნების ექსპლუატაცია, რომლებზედაც არ არის შესრულებული ან დამთავრებული ტექნიკური მოწყობილობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა მოძრაობის უსაშიშრობას.

9. რკინიგზაზე მოქალაქეთა პირადი უშიშროების ზომების გაძლიერების მიზნით:

ა) გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ რკინიგზის ლიანდაგებზე უბედური შემთხვევების თავიდან აცილების საკითხები;

ბ) დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს მოაწყონ საწარმოებში, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში სტენდები და ფოტოვიტრინები ისეთი მასალებით, რომლებიც განმარტავენ რკინიგზის ლიანდაგების აკრძალულ ადგილებში მოქალაქეთა ყოფნის საფრთხეს, და სისტემატურად ჩაატარონ საუბრები და ლექციები ამ თემაზე, ამასთან ჩააბან ამ მუშაობაში რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 14 თებერვალი, № 87

16 საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების შემოღების შესახებ

„მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების შემოღების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 იანვრის № 58 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის წინადადებანი, რომლებიც მოწონებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, იმის შესახებ, რომ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) შემოღებულ იქნას 1966 წლის 1 ოქტომბრიდან საფეიქრო და სატრიკოტაჟო მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასები, აგრეთვე ქიმიური ბოჭკოს ახალი, შემცირებული საბითუმო ფასები მომხმარებლებთან — მსუბუქი მრეწველობის საწარმოებთან ანგარიშსწორებისათვის;

ბ) შემოღებულ იქნას 1967 წლის 1 იანვრიდან ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობის და ხელოვნური ტყავის მრეწველობის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასები.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ განსხვავება საბავშვო ასორტიმენტის იმ ცალკეულ ნაკეთობათა საბითუმო და საცალო ფასებს შორის, რომელთა საბითუმო ფასები საცალო ფასებზე მეტია, აუნაზღაურდებათ საბითუმო-გამსაღებელ ორგანიზაციებსა და საწარმოებს ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადის იმ გადასახდელთა შემცირების ხარჯზე, რასაც ისინი სხვა ნაკეთობებზე იხდიან.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს:

ა) შეიტანონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 19 მარტის № 133 დადგენილების შესაბამისად მომზადებულ საბითუმო ფასების პრეისკურანტებში საჭირო შესწორებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას, და დასაბუთებული გაანგარიშებანი პრეისკურანტების დასაზუსტებლად წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს დანართით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) შეადგინონ გაანგარიშებანი ამონაგების შეცვლისა, რაც გაანაწილონ მომხმარებლების მიხედვით, აგრეთვე სახალხო-სამეურნეო გეგმის და ბიუჯეტთან ურთიერთობის 1966 წლის მაჩვენებლების შეცვლისა საბითუმო ფასების ახალი პრეისკურანტების შემოღებასთან დაკავშირებით და წარუდგინონ ისინი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და ფინანსთა სამინისტროს.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების კომიტეტმა შეათანხმოს რესპუბლიკური ნომენკლატურის პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების პრეისკურანტების შემოღების წესი და ვადები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 19 თებერვალი, № 96

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 თებერვლის № 96
დადგენილების დანართი

ᲕᲐᲓᲔᲑᲘ

საბითუმო ფასების პრეისკურანტების გადასინჯული პროექტების წარდგენისა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტისათვის

პრეისკურანტების №№	დასახელება	ვადა პროექტების წარდგენისა საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტისათვის
48-03-06	ტექნიკური საფეიქრო-საგალანტერიო ნაწარმი	15 აპრილი
49-02-06	ქეჩა და ქეჩის ნაწარმი	15 აპრილი
44-12-06	საგალანტერიო ნაწარმი ტყავშემცვლელებისა, ტყავისა და ქსოვილისაგან	1 ივლისი
48-02-06	საფეიქრო-საგალანტერიო ნაწარმი	15 მარტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი Ა. ᲕᲘᲠᲐᲫᲐᲫᲔ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 იმის შესახებ, რომ განთავისუფლებულ იქნან საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და, რომ შემკვეთებმა გადასცენ საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი

მშენებელთა მუდმივი კადრების შექმნისა და სამშენებლო ორგანიზაციებში მათი შენარჩუნების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განთავისუფლდეს, როგორც გამონაკლისი, საქართველოს სსრ საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები იმისაგან, რომ გადასცენ 1966 წელს ადგილობრივ საბჭოებს საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი იმ სახლებში, რომლებიც მათ ააშენეს თავიანთი მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის.

2. დაევალოთ შემკვეთ სამინისტროებსა და უწყებებს გადასცენ 1966 წელს საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებს მშენებელთა ჩასასახლებლად საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი იმ სახლებში, რომლებიც საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციებმა ააშენეს, ყველგან საქართველოს სს რესპუბლიკაში, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავართბილმშენმა და № 1 ტრესტმა ქ. თბილისსა და ქ. რუსთავში აშენებული სახლებიდან — საექსპლუატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართობის 5 პროცენტი, გარდა საცხოვრებელი ფართობისა საერთო საცხოვრებლებში, სასწავლებლებში, პროფტექნიკური განათლების სკოლებში, საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე სახაზო საექსპლუატაციო პერსონალის სახლებში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გამოუყონ სუბმოიჯარე სამონტაჟო ორგანიზაციებს საცხოვრებელი ფართობი მიღებული 10 და 5 პროცენტის ანგარიშში, ამ ორგანიზაციებში მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა არსებული რაოდენობის პროპორციულად.

4. დაევალოთ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს წარუდგინონ საცხოვრებელი ფართობის განაწილება ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს შესათანხმებლად და დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 22 თებერვალი, № 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის საკითხები

(ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 სექტემბრის № 608 დადგენილების შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლას ეწოდოს უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლა და გადაეცეს იგი საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის უშუალო გამგებლობაში.

2. სსრ კავშირის ხალხთა მომავალი IV საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამის გაფართოებასთან დაკავშირებით, გადიდდეს უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის მსმენელთა კონტინგენტი 200-დან 500 კაცამდე.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ 1966 წლის პირველ კვარტალში წარმოადგინოს წინადადება იმის შესახებ, რომ დაფინანსდეს აღნიშნული სკოლა 500 კაცის კონტინგენტით მოქმედი ნორმების შესაბამისად.

3. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს მოაწესრიგოს სკოლის დაკომპლექტება სპორტის სახეობათა მიხედვით დაწესებული კონტინგენტის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 22 თებერვალი, № 106

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 1966 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/III-1966 წ. ქაღალდის ზომა 70 X 108,
ქაღალდი 8800, ნაბეჭდი თაბახი 3,25, სააღრიცხვო თაბახი 3,0.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 2700 შეკვეთა № 461

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ᲝᲜᲚᲘᲜᲘ — 76187